საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა, #12; # 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.”

მარიამ გიორგაძე _____

05.06.2025

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
5. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები;
7. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები;
8. გზა-კიბეების დეტალური ნახაზები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება	1
შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება	2
კონსტრუქციის ტიპის შეფასება	3
ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება	4
ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება	5
გასასვლელი საშუალებების შეფასება	6
მისაწვდომობის შეფასება	7
შიგა გარემოს შეფასება	8
გარე კედლების შეფასება	9
სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება	10
წყალსადენი სისტემების შეფასება	11
ლიფტის შეფასება	12

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა, #12; # 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (06/08/2024წ. #7167056), რომლის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამანქანო მისასვლელი გზა - საზოგადოებრივი სივრცის სახით. ხოლო დანარჩენ არეალებში შემოფარგლულია რეგისტრირებული ნაკვეთებით.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება ქანობიანი რელიეფით, შესაბამისად დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა II სართული (-3.30 ნიშნულზე) - სასაწყობე და ტექნიკური სივრცეები;
- მიწის დონის ქვედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - საცხოვრებელი ერთეულები და მრიცხველების ოთახი;
- მიწის დონის ზედა I - III სართულები (+3.30 - +9.90 ნიშნულებზე) - საცხოვრებელი ერთეულიები;

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-7 თავში და დასკვნაზე თანდართული მისაწვდომობის ეროვნილი სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციულ ელემენტებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-4 თავში.
საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით, რომელთა შესახებ ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

შენობის ფასადები ნაწილობრივ მოპირკეთდება აგურით, ნაწილობრივ ფილებით. კარ-ფანჯარა წარმოადგენს მინაპაკეტს ალუმინის მოჩარჩოებით. პროექტში თანდართულია ფასადის დეტალური ნახაზები. ფასადებისა და სახურავის ანაწყობებთან მიმართებაში შეფასებითი ნაწილი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-9 და მე-10 თავებში.

1. <u>გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:</u>

- **შენობის საპროექტო ნაწილის თითოეული სივრცე დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**

- **შენობის საპროექტო ნაწილში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**

- **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები +0.00 - +9.90 ნიშნულებზე) - შეესაბამება 310.4 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ორზე მეტი საცხოვრებელი ერთეული, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ცხოვრობენ. ეს ჯგუფი მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს;

- **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (სასაწყობე სივრცე (სარდაფები) -3.30 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული სივრცე, სადაც ინახება საშუალო საფრთხის შემცველი ინვენტარი.

- **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (მრიცხველების ოთახი 0.00 ნიშნულზე, სახანძრო ტუმბო და ავზი -3.30 ნიშნულზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის წარმოების მიზნით გამოყენებული სივრცეები.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

- საცხოვრებელი ერთეულები----------18.6 მთლიანი;
- სასაწყობე სივრცე (სარდაფი)----------46.5 მთლიანი;
- სახანძრო ტუმბო და ავზი ---------- 27.9 მთლიანი;
- მრიცხველების ოთახი ---------- 27.9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2. <u>შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:</u>

- შენობის საერთო მონაცემებზე დაყრდნობით, მისი კონსტრუქციის ტიპის (II-B) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

- ვინაიდან მიწის ნაკვეთი ხასიათდება ქანობიანი რელიეფით, მიწის დონე გამოთვლილია შენობიდან 1.80 მ-ით დაშორებულ წერტილებს შორის მდებარე მიწის დონის ფართობის უდაბლესი წერტილების საფუძველზე, რომლის მიხედვით მიწის საკონტროლო დონე უტოლდება 525.71 აბსოლუტურ ნიშნულს.

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 13.86 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 3 (სამი) და მიწის დონის ქვედა 2 (ორი) სართული.

- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

  - მიწის დონის ქვედა II სართული ---------- ჯგუფი სწ-1 (254.54მ^2) და ჯგუფი სმ-1 (16.42^2);
  - მიწის დონის ქვედა I სართული ---------- ჯგუფი სც-2 (266.08მ2) და ჯგუფი სმ-1 (3.75^2);
  - მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სც-2 (302.29 მ2);
  - მიწის დონის ზედა II სართული ---------- ჯგუფი სც-2 (303.54 მ2);
  - მიწის დონის ზედა III სართული ---------- ჯგუფი სც-2 (243.85 მ2);

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

3. <u>კონსტრუქციის ტიპის შეფასება:</u>

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (II-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.

  - შენობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, გარე და შიგა მზიდ კედლებს და იატაკს კონსტრუქციული ტიპის გათვალისწინებით, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება.

არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში გრაფიკულად ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა

დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, მათი ცეცხლმედეგობის ხარისხებთან მიმართებაში დაცულია 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები. ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი სავალდებულოდ განისაზღვრა ,,ა-ე“ ღერძებში-3.30 და +9.90 ნიშნულებზე, „ე“ ღერძის მიღმა -3.30 ნიშნულზე და „1’-2’“ ღერძებში -3.30 ნიშნულზე.

4. <u>ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:</u>

- შენობის ნაშვერებთან მიმართებაში დაცულია 705.2 ცხრილით განსაზღვრული მოთხოვნები.
- ვინაიდან საპროექტო შენობა მიწის დონიდან სამ სართულიანია, გარე კედლებში არსებული ღიობების შვეული გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის პირველი გამონაკლისით არ მოითხოვება.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნას.
- შენობას არ ემსახურება პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისით.
- შახტებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.
- დაკავებულობის გამიჯვნა შესაბამისობაშია 508.4 ცხრილის მოთხოვნასთან.
- თითოეული სართულის დონეზე დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი პასუხობს 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.
- საცხოვრებელი ერთეულების მომსახურე დერეფნის მომსახურე ტიხრების ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, ხოლო ასეთ ტიხრებში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა შეესაბამება 20 წუთს.
- ასევე დაცულია 420.2 და 420.3 ქვეთავების მოთხოვნები, კერძოდ საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისაგან გამიჯნულია ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი ტიხრებით და ასევე საცხოვრებელი ერთეულები მის ქვედა და ზედა ფართებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობებით.

- შენობაში თითოეული სართული წარმოადგენს ცეცხლისაგან დაცულ ფართობს და თითოეული ასეთი ფართი გამიჯვნების თვალსაზრისით აკმაყოფილებს 707.3.10 ცხრილის მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება, თანახმად 707.6 ქვეთავისა;

- კარის ღიობის ცეცხლისგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

5. <u>ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:</u>

- **ავტოსაშხეფი სისტემა**

- თანახმად 903.2.8 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა, სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას.

- რაც შეეხება -3.30 ნიშნულზე მდებარე სწ-1 ჯგუფის დაკავებულობას (სარდაფებს), ვინაიდან სართულზე იატაკის ფართობი აღემატება 140 კვ.მ-ს, გარე კედელზე არ არის გამოჭრილი ღიობები ყოველ 15 მეტრში და არ ემსახურება გარე გზა-კიბეები ასევე ყოველ 15 მეტრში, თანახმად 903.2.11 ქვეთავისა, სავალდებულოა აღნიშნული სართულის ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფა, რაც პროექტით დაცულია.

- **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9.0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეებზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკის შორის არსებულ შუალედურ დონეზე. თუ სხვაგვარად შეთანხმებული არ არის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან. მილდგარების კარადა განთავსებულია კიბის შესასვლელებთან. <u>ასეთი სახით მილდგარების განთავსების საკითხი უნდა შეთანხმდეს სახანძრო სამაშველო სამსახურში.</u>

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

- **ხელის ცეცხლმაქრები:**

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, სახანძრო კარადებში, რაც შეესაბამება 906 ქვეთავის მოთხოვნას.

- **სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- მთელი შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, რომლებიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას. ხმოვანი და ვიზუალური განგაშის მოწყობილობების ხარჯზე. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 907-ე ქვეთავის მოთხოვნებთან.

- კვამლზე მორეაგირე მაუწყებლები განთავსებულია სც-2 ჯგუფის თითოეულ ცალკეულ საძინებელ ფართობზე, რაც შეესაბამება 907.2.11.2 ქვეთავს.

- იმის გათვალისწინებით, რომ ლიფტის დაწნევის სისტემა უნდა გააქტიურდეს კვამლაღმომჩენით, სავალდებულოა თითოეული სართულის დონეზე არსებული დერეფნები უზრუნველყოფილი იყოს კვამლაღმომჩენებით, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია და შეესაბამება 909-ე და 907-ე ქვეთავების მოთხოვნას. კვამლაღმომჩენით აღჭურვილა სასაწყობე და დამხმარე ფართებიც;

- მხედველობითი განგაშის სისტემით აღჭურვილია საჯარო და საერთო გამოყენების ფართები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემის მომსახურე რუპორები განთავსებულია თითოეული სართულის დონეზე, ასევე შემოზღუდული გზა-კიბეების საზღვრებში, სწ, სვ და სქ ჯგუფების სივრცეებში, რაც შესაბამისობაშია 907.5.2.2 ქვეთავის მოთხოვნასთან.

- **კვამლის საკონტროლო სისტემები:**

- ვინაიდან ლიფტს ყოველი სართულის დონეზე არ ემსახურება ლიფტის ფოიე, სავალდებულოა მათი დაწნევის სისტემით უზრუნველყოფა, რაც დაცულია და შეესაბამება 713.14.1 ქვეთავის მე-6-ე გამონაკლისს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ლიფტის შახტი დაწნევადი უნდა იყოს 909.21 მოთხოვნათა დაცვით.

- **სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეირ გამოსაყენებელი მისაერთებლები:**

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.
- სახანძრო მისაერთებელი განთავსებულია შენობის ფასადზე სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაერთებელთან დაცულია 0.8მ X 0.9მ და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შესაბამისობაშია 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნასთან.

- **სახანძრო ტუმბო:**

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია -3.30 ნიშნულზე, რომლის შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 913.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

6. <u>გასასვლელი საშუალებების შეფასება:</u>

- ვინაიდან საპროექტო შენობის სართულიანობა მიწის დონის ზემოთ არ აღემატება 3 ერთეულს და მიწის დონის მხოლოდ I სართულზეა განთავსებული სც-2 ჯგუფი, შენობის თითოეული სართულის იატაკის საერთო ფართობი 400 კვ.მ-ს, სართულზე საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა 5 ერთეულს, ხოლო გასასვლელამდე მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი 38 მ-ს არ აღემატება, ამასთან თითოეული საძინებელს გააჩნია 1029-ე ქვეთავის შესაბამისი თავდასაღწევი ღიობი, 1021.2(1) ქვეთავის თანახმად დასაშვებია შენობის სართულებს 0.00 - +9.90 ნიშნულებზე ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი საშუალება, რაც პროექტით გათვალისწინებულია გარე გასასვლელის გზა-კიბის სახით.

- -3.30 ნიშნულზე არსებულ სარდაფის სივრცეს, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მიწის დონის ქვედა II სართულს, აღნიშნულ სართულს ემსახურება ორი გასასვლელი - გარე გასასვლელის გზა-კიბის სახით, თანახმად 1021.2(2) ქვეთავისა.

- რაც შეეხება -3.30 ნიშნულზე არსებულ ტექნიკურ ოთახს (ტუმბოსა და ავზის სივრცე), მისი დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის მიხედვით საჭიროებს 1 გასასვლელს. წარმოდგენილი პროექტით, ტექნიკურ ოთახს ემსახურება დამოუკიდებელი გარე გასასვლელის გზა-კიბე, თანახმად 1021.2(2) ქვეთავისა.

- მიწის დონის ქვედა და ზედა სართულების მომსახურე გზა-კიბეები პირდაპირ უკავშირება გარე სივრცეს, თანახმად 1022.1 ქვეთავისა.

- გარე გასასვლელის გზა-კიბეები შენობის შიგა სივრცისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით, თანახმად 1026.6 და 1022.2 ქვეთავისა, ამას გარდა შიგა გასასვლელის გზა-კიბეში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები.

- გარე გასასვლელის გზა-კიბე სულ მცირე ერთი მხრიდან ღიაა და ღია მხარეს გააჩნია 3.3 კვ.მ-ზე მეტი საერთო ღია ფართობი იატაკის დონეზე და ყოველი შუალედური ბაქნის დონეზე, თანახმად 1026.3 ქვეთავისა.

- გარე გასასვლელი გზა კიბის ცეცხლგამყოფი მანძილი არ არის 3.0 მეტრზე ნაკლები, თანახმად 1026.5 ქვეთავისა.

- შენობის მომსახურე გარე გასასასვლელის გზა-კიბეს -3.30 ნიშნულზე განიავება და ვინტილაცია მოხდება მის ზემოთ სართულზე არსებული კიბის ღიობის საშუალებით, ასევე იმისათვის რომ აღნიშნულ სართულზე გზა-კიბის დაკვამლიანება არ მოხდეს, კიბის მიღმა არსებული სივრცე უზრინველყოფილია კვამლსაწინააღმდეგო ვინტილაციით.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა (სწ ჯგუფის სივრცისთვის) და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7.6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია როგორც 1009.4 ქვეთავით, ისე 1007.3 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნა და გარე გასასვლელის გზა კიბის სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.20 მ-ს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5.1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე 0.00 - +17.40 ნიშნულებზე უტოლდება სულ მცირე 1.50 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5.1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.84 მეტრია.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 28.6 სმ-ით, ხოლო ამაღლება 15.7-17 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები, ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად, რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთოხვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ვინაიდან შენობა მიწის დონიდან სამ სართულიანი, შენობის სახურავის დონეზე მიდგომა სავალდებულო არ არის, თანახმად 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებისა.

- შენობაში მოწყობილი სხვა ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით და იღება გასასვლელისკენ სავალი ბილიკის მიმართულებით, გარდა -3.30 ნიშნულზე მდებარე, 50-ზე ნაკლები დაკავებულობის დატვირთვის მქონე სარდაფის მომსახურე გასასვლელის კარი, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილესბ 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- საერთო სავალი ბილიკები აკმაყოფილებს 1014 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT” მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობიია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

7. მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია შშმ პირთათვის.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის მთავარ შესასვლელებამდე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.
- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელები მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს და კარებს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელის ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“.
-
- თანახმად 1107.6.2.1.1 ქვეთავისა, ვინაიდან საპროექტო შენობაში საცხოვრებელი ერთეულების საერთო რაოდენობა არ აღემატება 20 ერთეულს, სავალდებულოდ არ არის „ა“ ტიპის ერთეულების მოწყობა, თუმცა აღნიშნული პროექტით მაინც გათვალისწინებულია და მოწყობილია 2 „ა“ ტიპის ერთეული; ხოლო თანახმად 1107.6.2.1.2 ქვეთავისა, ყველა დანარჩენი საცხოვრებელი ერთეული უნდა იყოს „ბ“ ტიპის შესაბამი, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.
- მისაწვდომი გზა-კიბეები შეესაბამება 1007.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- შშმ პირთათვის განკუთვნილ თავშესაფრის ფართობებზე, შენობის ყველა სართულის დონეზე (გარდა შენობიდან გამოსასვლელისა და +9.90 ნიშნულზე სადაც მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ერთეული მდებარეობს) მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა და მისი გამოყენების ინსტრუქცია, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის პირველ გამონაკლისს. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა.

- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, ასეთი ნიშანი განათებულია, ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.
- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს.

8. შიგა გარემოს შეფასება:

- 0.00 - +9.90 ნიშნულებზე განთავსებული საცხოვრებელი ერთეულები და ამავე ნიშნულზე განთავსებული მრიცხველების ოთახი ნიავდება ბუნებრივად ფანჯრისა და კარის ღიობების საშუალებით, ასეთი გარე გაღებადი ღიობების ჯამური ფართობი (გაღებულ მდგომარეობაში) აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4 %-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1026 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.

- შენობაში მდებარე სასაწყობე ფართები (სარდაფები) ნიავდება მექანიკურად.

- ტუალეტის ოთახები ნიავდება მექანიკურად რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე და სავაჭრო, საოფისე, სასაწყობე სივრცეების გასასვლელ გზა-კარებთან). ყოველივე ზემოაღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

9. გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.

- რაც შეეხება გარე კედლის საფარებს, შენობის ფასადები ნაწილობრივ მოპირკეთდება აგურით, ნაწილობრივ ფილებით. კარ-ფანჯარა წარმოადგენს მინაპაკეტს ალუმინის მოჩარჩოებით.

- გარე კედლების მისაწებებელ საფართან მიმართებაში საჭიროა გავცელდეს 1405.10 ქვეთავის მოთხოვნები, მათ შორის გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი:

  - მიწებებული ერთეულების სისქე არ უნდა აღემატებოდეს 15.8 მმ-ს და ნებისმიერი პირის ზომა უნდა იყოს მაქსიმუმ 60 სმ, არ უნდა იწონიდეს 0.43 კნ/მ2-ზე მეტს. ფაიფურის მოჭიქული ფილა უნდა მიწებდეს უკანასაყრდენის ნებადართულ სისტემაზე.

  ზემოაღნიშნული ინფორმაცია მითითებულია ფასადის დეტალურ ნახაზზე და აღნიშნული სავალდებულოდ უნდა იქნას დაცული მშენებლობის პროცესში.

- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოეწყობა გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, 1405.4 ქვეთავის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია მითითებულია წარმოდგენილ პროექტში.

10. <u>სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:</u>

- სახურავის ანაწყობი შედგება ფოლადის ფურცლისგან, ორიენტირებული ბოჭკო-დაფისგან, გაფართოებული პოლისტირონისგან, ჰაერისგან და თაბაშირ-მუყაოსგან.

- ბრტყელი გადახურვის ანაწყობები შედგება კერამკული ფილებისგან, ბოჭკოვანი ცემენტის ფურცლისგან, რკინაბეტონისგან, ექსტრუდირებული ქაფისგან, ჰაერისგან და თაბაშირ-მუყაოსგან.

  - ექსტრუდირებული პოლისტირონის ქაფის ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 75 ან 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი 450 ან 450-ზე ნაკლები.

- შენობის სახურავის ქანობი მერყეობს 2%-დან 44%-მდე, რაც უზრუნველყოფს წყლის ეფექტურ მოცილებას.

- სახურავის წყალგამშვები ღიობის ზომა არ არის 10 სმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

11. <u>წყალსადენი სისტემების შეფასება:</u>

- თითოეული საცხოვრებელი ერთეული უზრუნველყოფილია 1602.2 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი სისტემებით. თითოეულ ერთეულში განთავსებულია უნიტაზი, ხელსაბანი, საშხაპე, სამზარეულოს ნიჟარა და სარეცხის მანქანა.

- ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, ასევე ტუალეტები განთავსებულია არაუმეტეს ერთი სართულის ზემოთ ან ქვემოთ, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2-ე პუნქტის მოთხოვნასთან.

- შენობაში მდებარე ძირითადი ფართების მომსახურე სასაწყობე სივრცეები (სარდაფები), ტექნიკური სივრცე და მრიცხველების ოთახი, რომლებიც კლასიფიცირებულია სწ-1 და სმ-1 ჯგუფებად წარმოადგენს ძირითადი ფუნქციის დამხმარე სივრცეებს, რომლიც არ იქნება მუდმივად დაკავებული, შესაბამისად აღნიშნული სივრცეებისთვის არ არის გათვალისწინებული ცალკე წყალსადენი სისტემები, რაც მიზანშეწონილად მიმაჩნია.

12. <u>ლიფტების შეფასება:</u>

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1702.1 ქვეთავის მოთხოვნა და შენობას ემსახურება ერთი ლიფტი.

- ლიფტის შახტი შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით, აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას, ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ლიფტებთან მოწყობილია საგანგებო ვითარების ნიშანი, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- ვინაიდან ლიფტის შახტი არის დაწნევადი, მას არ ემსახურება ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით.

- საპროექტო ლიფტი მისაწვდომია, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით.

- ლიფტი არ არის განთავსებული ისეთ შემომზღუდავებში რომელშიც გზა-კიბე ანდა გზა დერეფანია, ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1702.7 და 1023.5 ქვეთავებს.

- ლიფტის შახტი უზრუნველყოფილია 1704.1 ქვეთავის შესაბამისი საჰაერო ნახვრეტით, რომლის სუფთა ფართობი უტოლდება 0.3 კვ.მ.-ს.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ იაკობ ცურტაველის ქუჩა, #12; # 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ არქიტექტურული პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

მარიამ გიორგაძე _____

05.06.2025

ტექნიკური რეგლამენტი
„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:

მისაწვდომი სვლაგეზი:

სავალი ზედაპირები
კარები
ლიფტი

ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

მისაწვდომი გზა-კიბეები

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

ნიშნები

საცხოვრებელი ერთეულები:

„ა“ ტიპის ერთეული
„ბ“ ტიპის ერთეულები

იაკობ ცურტაველის ქუჩა, #12; # 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს

საექსპერტო შეფასება

მ. გიორგაძე

❖ მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და შენობებში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს და კარებს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. <u>მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:</u>

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობის გარეთ შეადგენს სულ მცირე - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება არანაკლებ 900 მმ-ს, რაც აკმაყოფილებს 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ხოლო სადაც სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

- როგორც გარე, ასევე შიგა სივრცეში, მისაწვდომ სვლაგეზზე გათვალისწინებულია გვერდასავლელი სივრცეები, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს 1100 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

3. **შენობებში მოწყობილია 407 ქვეთავის შესაბამისი ლიფტი. ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):**

- კაბინის კარი მდებარეობს ცენტრში, მისი სუფთა სიგანე განსაზღვრულია 900 მმ-ით, რაც შესაბამისობაშია 407.4.1 ქვეთავთან.

- ლიფტის კაბინის იატაკის სიგანე 1300 მმ-ია, ხოლო სიგრძე 2400 მმ, რაც აკმაყოფილებს 407.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

❖ **ადგილის და შენობის ელემენტები:**

1. **მისაწვდომი კიბეებისადმი მოთხოვნები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები:

  - ✓ სახელურები განთავსებულია კიბეების ორივე მხარეს;
  - ✓ სახელურები უწყვეტად უნდა მიუყვება თითოეული კიბის მარშის მთელ სიგრძეს, ხოლო შიგა სახელურები უწყვეტად მიუყვება მარშებს.
  - ✓ სახელურების ხელმოსაჭიდი ზედაპირების თავი კიბის წინაპირებიდან არაუმცირეს, 860 მმ-ის და არაუმეტეს, 1000 მმ სიმაღლეზეა განთავსებული.
  - ✓ ხელმოსაჭიდ ზედაპირებსა და მომიჯნავე ზედაპირებს შორის, არაუმცირეს, 40 მმ თავისუფალი სივრცეა შენარჩუნებული.
  - ✓ ხელმოსაჭიდი ზედაპირები არის უწყვეტი.
  - ✓ სახელურების გაგრძელებები შეესაბამება 505.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. კიბის დონის ამოსაცნობი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

- ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედებიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

❖ საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. **შენობებში განთავსებული ნიშნები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:**

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის კართან არის განთავსებული. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, გარე გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, მომიჯნავე სივრცეში გამავალი კარის მიმდებარედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშან შეესაბამება 703.2 ქვეთავის ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.

- თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საგანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თავშესაფრის ფართობებთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა. ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

  - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

  - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

  - ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

  - ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

❖ მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

1. საპროექტო შენობებში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

<u>„ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები:</u>

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულების ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.

- ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.
- სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შესაბამება 404 ქვეთავს.

- ერთეულებში მოწყობილია ტუალეტი აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

✓ გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
✓ ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.
✓ უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.
✓ საშხაპე შეესაბამება 608 ქვეთავს.
✓ სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

<u>„ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები:</u>

- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, თანახმად 1104.3.1 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შესაბამება 404-ე ქვეთავს.

- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.

- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:

✓ კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
✓ ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.
✓ უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.
✓ საშხაპე შეესაბამება 1104.11.3.1.3.3 ქვეთავებს.
✓ სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ მიმაჩნია, რომ იაკობ ცურტაველის ქუჩა, #12; # 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

მ. გიორგაძე

თარიღი: 01.07.2025

ხელმოწერა:

05.06.2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

თბილისი-0175, კოსტავას ქ. №77; სტუ-ს I კორპუსი; ქალაქის ტელ.: 2-33-71-63; შიდა ტელ.: 62-60
E-mail: gochamikia@yahoo.com ; g.mikiashvili@gtu.ge www.gtu.ge

28/10/2014

ცნობა

ეძლევა მარიამ გიორგაძეს (პირ.№01009018474), მასზედ, რომ მან 2007 წლის 20 წელს (ოქმი№42) დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი, დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანების№8/05).

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი გ. მიქიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

თბილისი-0175, კოსტავას ქ. №77; სტუ-ს I კორპუსი; ქალაქის ტელ.: 2-33-71-63; შიდა ტელ.: 62-60
E-mail: gochamikia@yahoo.com ; g.mikiashvili@gtu.ge www.gtu.ge

28/10/2014

ცნობა

ეძლევა მარიამ გიორგაძეს (პირ№01009018474) მასზედ, რომ მან 2009 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი, დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი და მიენიჭა ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხი არქიტექტურაში (ბრძანების №361/05).

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი გ. მიქიაშვილი

ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ასლი

ბრძანება
22.02.13 № 361/05

თბილისი

სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ " საქართველოს კანონის 22-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საკვალიფიკაციო კომისიის 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №25) მარიამ გიორგაძეს, პირადი ნომერი 01009018474, რომელიც 2007 წელს ჩაირიცხა სტუ-ში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ქალაქების სივრცით გეგმარებითი ორგანიზაცია" და დაამთავრა სწავლების სრული კურსი, მიენიჭოს ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხი არქიტექტურაში და მიეცეს მაგისტრის დიპლომი.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი გ.მიქიაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

სწორია: ი.

შ პ ს „ადმ“ არქიტექტურა-დიზაინი-მშენებლობა

LTD “ADM” Architecture-Design-Building

ქ. თბილისი, შიო მღვიმელის ქუჩა N13, ტ. 557 413-408
N13, Shio Mghvimeli str. Tbilisi, T. 557 413-408

27.10.2014წ.

ცნობა

ეძლევა მარიამ გიორგაძეს, მასზედ, რომ იგი მუშაობდა ჩვენს ორგანიზაციაში არქიტექტორად 2007-2013წლებში.

ცნობა ეძლევა დანიშნულებისამებრ წარსადგენად.

ფირმის დირექტორი /თ. გიორგაძე/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

აქტი:**ა60.01202331**
თარიღი:**20/08/2020**
პინი:**9471**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ცნობა

ეძლევა მარიამ გიორგაძეს (პ/ნ 01009018474) მასზედ, რომ იგი 2013 წლის 15 ივლისიდან 2013 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით და 2014 წლის 20 იანვრიდან 2014 წლის 21 ივლისის ჩათვლით მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში სანებართვო დეპარტამენტის I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებლად, 2014 წლის 10 ოქტომბრიდან 2015 წლის 21 აპრილამდე - I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების დამხმარე ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე, 2015 წლის 21 აპრილიდან 2018 წლის 26 იანვრამდე - I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო, 2018 წლის 26 იანვრიდან 2018 წლის 24 აგვისტომდე იკავებდა I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას.

ამასთან, 2017 წლის 14 დეკემბრიდან 2018 წლის 29 მაისამდე დაკისრებული ქონდა ამავე სამსახურის I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსის მოვალეობის შესრულება.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თამარ გვიჩიანი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსის მოადგილე
(სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგისქ.N47ბ
მობ: 599 55 30 49
e-mail mariegiorgadze@gmail.com

მ ა რ ი ა მ გ ი ო რ გ ა ძ ე

განათლება

- როტერდამის არქიტექტურისა და ურბანული დიზაინის აკადემია 2010 როტერდამი, ნიდერლანდები
  საერთაშორისო არქიტექტურული კურსები
- საქართველოს ტექნიკურიუნი უნერსიტეტი 2007-2009 თბილისი, საქართველო
  მაგისტრის ხარისხი არქიტექტურასა და ურბანულ დაგეგმარებაში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2003-2007 თბილისი, საქართველო
  ბაკალავრიატის ხარისხი არქიტექტურაში
- სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის სკოლა 2001-2003 თბილისი, საქართველო

პროფესიონალური გამოცდილება

- არქიტექტორი კომპანია **ADM** 2007-2012/13
  -პროექტების დაგეგმარება კომპანიის მთავარი არქიტექტორის ზედამხედველობით
  -პროექტის საბოლოო ეტაპი, ალბომის გამზადება/დასრულება მთავარი არქიტექტორის ზედამხედველობით
  -ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებსა და კლიენტებთან ურთიერთობა
  -კომპანიის დოკუმენტაციის გაკონტროლება და მოწესრიგება
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, I და II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტი 2013-2018
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურ I და II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი 12.2017 – 05.2018
- არქიტექტურული კომპანია **„არქიტექტორები+“** 2018-დღემდე
  -წინასაპროექტო კვლევა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად.
  -არქიტექტურული პროექტის შემუშავება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად (მათ შორის საქართველოს მთავრობის 41 დადგენილების მიხედვით).
  -კონსულტაციების/რეკომენდაციების გაცემა მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველა ეტაპისთვის.
  -ნებართვის მოპოვებისთვის საჭირო სხვა პროექტების და ექსპერტიზების მენეჯმენტი.
  -მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანისა და სხვა ქმედებებისთვის კვლევა-დასაბუთების მომზადება.
  -შესაბამისი ნებართვების მოპოსაპოვებლად დოკუმენტაციის/პროექტების მომზადება და შუამდგომლობა ნებართვის გამცემ ორგანოსთან.
- არქიტექტორი - თვითდასაქმებით 2018-დღემდე
  -არქიტექტურული პროექტის შემუშავება და მენეჯმენტი
- „Building Standard Consulting” 2018-დღემდე
  -შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების უმცროსი ექსპერტი
  -მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის ექსპერტი

გამოფენები და კონფერენციები

- მონაწილე ექსპოზიციაში Florence World Festival “*Life beyondTourism*” 2011 ფლორენცია, იტალია
- არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სადიპლომო ნამუშევრის გამოფენა, 2007
  თბილისი, საქართველო

არქიტექტურულის პროექტების არასრული ჩამონათვალი

- “**DefiningDokhaven**” -ძველი Dokhaven პორტისა და ნავსაშენის განხილვა, შესწავლა, განახლება. პროექტი შესრულდა როტერდამის არქიტექტურულ კურსებზე საერთაშორისო ჯგუფის მიერ, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა არქიტექტორები.
- “**SeasideCityGonio**” - ზღვისპირა ქალაქისა და პორტის შექმნის იდეა, დაგეგმარება გონიოს ისტორიულ საფუძველზე დაყრდნობით, წარმოდგენილი Florence WorldFestival– “*Life beyond Tourism”*-ზე.
- ვაშლიჯვარში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია და სასტუმროთ

გადაკეთება. პროექტი დამტკიცებულია თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შპს ADM).

- წავკისში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტირება და მშენებლობის მეთვალყურეობა. პროექტი დამტკიცებულია თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ (შპს ADM).
- დიღომში ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, დამუშავეული 41 დადგენილების შესაბამისად. პოექტი დამტკიცებულია თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ („არქიტექტორები+“) .
- ძველ თბილისში მრავალფუნქციური შენობის ახალი მშენებლობის არქიტექტურული პროექტი, დამტკიცებულია თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ („არქიტექტორები+“) .
- თორნიკე ერისთავის ქუჩაზე მდებარე ორი შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია ფუნქციის ცვლილებით (საოფისე), დამუშავებული 41 დადგენილების შესაბამისად. პოექტი დამტკიცებულია თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ („არქიტექტორები+“).
- ალ. ყაზბეგის გამზირზე მრავალბინიანი (მრავალსართულიანი) საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, დამუშავებული 41 დადგენილების შესაბამისად. და სხვა.
- დავარის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, დამუშავებული 41 დადგენილების, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის და სხვა დადგენილებების შესაბამისად. და სხვა.

ენები

ქართული(მშობლიურიენა), ინგლისური, რუსული

კომპიუტერულიპროგრამები

ArchiCad, Adobe Photoshop, AutoCad